საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№ბს-586-507-კ-04 — 21 აპრილი, 2005 წ.

№ბა. წულუკიანი — ქ. თბილისი

ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა:

ნუგზარ სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნანა კლარჯეიშვილი, გიორგი ქაჯაია

სხდომის მდივანი - გ. ილინა

კასატორები - ფიზიკური პირები: ა. წულუკიანი, თ. ქამუშაძე, ო. გურეშიძე, ვ. ჯუღელი, ნ. ალავიძე (მოსარჩელეები მოწინააღმდეგე მხარე ქ. თბილისის მერიისა და სს „თბოელექტროცენტრალის" საკასაციო საჩივრებზე); ქ. თბილისის მერია (მოპასუხე); სს „თბოელექტროცენტრალი" (მოპასუხე)

მოწინააღმდეგე მხარე - სს „თელასი", სს „საქგაზი".

მოწინააღმდეგე მხარე - საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (მოპასუხე), სს „თელასი" (მოპასუხე), სს „საქგაზი" (მოპასუხე), საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია „იტერა" (მოპასუხე)

მოსარჩელე - გ. [illegible]შვილი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 12.03.04წ. გადაწყვეტილება

დავის საგანი - ვნებით მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ქამუშაძემ, ა. წულუკიანმა, გ. გოჩაშვილმა, ო. გურეშიძემ, ლ. ალავიძემ, ვ. ჯუღელმა 25.10.01წ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს, მოპასუხეების: საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია „იტერას", სს „საქგაზის", სს „ეიი-ეს თელასის", სს „თბოელექტროცენტრალის", ქ. თბილისის მერიის, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელეებმა მოითხოვეს მათ სასარგებლოდ მოპასუხეებისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ორი მილიონი ლარის დაკისრება და გადაწყვეტილების გამოტანიდან ყოველთვიურად თითო სულის სასარგებლოდ 200-200 ლარის დაკისრება. მოსარჩელეებმა მოითხოვეს აგრეთვე სს „თბოელექტროცენტრალის" მხრიდან მოსარჩელეთა სახლის დარბაზებში წყლის ჩადინების აღკვეთა, მოპასუხე ორგანიზაციებისათვის ცხელი წყლის, გათბობის და ელექტროენერგიის მოსარჩელეებისათვის უფასოდ მიწოდების დავალება.

სასარჩელო მოთხოვნების დაზუსტების შედეგად (ტ.3, ს.ფ. 293-294) მოსარჩელეებმა მოითხოვეს: 1. მოპასუხეებისათვის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 3 მილიონი ლარის დაკისრება, საიდანაც მორალური ზიანის საზღაური 500 000 ლარს შეადგენს; 2. გადაწყვეტილების მიღების დღიდან ყოველდღიურად თითო სულის სასარგებლოდ მოპასუხე ორგანიზაციებისათვის 200-200 ლარის [illegible] დაკისრება; 3. სს „[illegible]" მოსარჩელეთა სახლის [illegible] წყლის ჩადინების აღკვეთის დავალება, სახლის ლანდშაფტის [illegible] და [illegible] გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება; 4. [illegible] არაჯეროვნად შესრულებისათვის 500 000 ლარის [illegible] პირგასამტეხლოს დაწესება, სამუშაოთა შესასრულებლად გონივრული ვადის დაწესება; 5. სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილების [illegible] შესვლის დღიდან თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, სკ-ის 403-ე მუხლის თანახმად, ყოველ ვადაგაცილებულ დღეზე თანხის 3%-ის გადახდის დაკისრება.

თბილისის საოლქო სასამართლოს კოლეგიის 07.03.02წ. განჩინებით საქმეზე დაინიშნა ოთხი სახის კომპლექსური ექსპერტიზა. 29.01.04წ. სასამართლო სხდომაზე, მოსარჩელეთა შუამდგომლობის საფუძველზე, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო ამორიცხულ იქნა მოპასუხეთა რიცხვიდან.

მოსარჩელეები სასარჩელო მოთხოვნებს აფუძნებდნენ შემდეგ გარემოებებზე: ქ. თბილისში, უზნაძის ქ. №4-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსი მჭიდროდ ეკვრის სს „თბოელექტროცენტრალის" ტერიტორიას, სადაც დამონტაჟებულია უზარმაზარი რეზერვუარები და საქვაბეები, მძლავრი ელექტრო-გენერატორები და მაღალი ძაბვის სადენები. დარღვეულია ყველა სანიტარული ნორმა, რამაც განაპირობა კიდეც საცხოვრებელი სახლის მაცხოვრებელთათვის არანორმალური პირობების შექმნა. ადგილი ჰქონდა ავარიებს, რაც სერიოზულ ხიფათს უქმნიდა სახლის მაცხოვრებლებს. სს „თბოელექტროცენტრალის" საკვამურიდან ამოფრქვეული შავი მტვერი, ელექტროგენერატორები და ახლოს გამავალი მაღალი ძაბვის ხაზები დამანგრევლად მოქმედებს მაცხოვრებელთა ჯანმრთელობაზე. სს „თბოელექტროცენტრალიდან" კორპუსის გარე კედლის გავლით შენობის საძირკველში სისტემატიურად ჩაედინება წყალი, დაგროვილი წყლის გამო დაწყებულია კედლების დაბზარვა, იქმნება შენობის ჩამოქცევის საშიშროება.

მოსარჩელეების მიერ წარმოდგენილ იქნა თსუ ქიმიური ტექნოლოგიის ლაბორატორიის დასკვნა, რომლის მიხედვით მავნე ნივთიერებათა შემცველობა ჰაერში ზოგჯერ ათჯერ და მეტად აღემატება დასაშვებ ნორმას. მოსარჩელეებმა წარმოადგინეს აგრეთვე თსუ შრომის ფსიქოლოგიის კათედრის დასკვნა, რომლის თანახმად საცხოვრებელ სახლში ხმაური გამოწვეულია 1000-1200 ჰერცის სიხშირის ტალღებით, ხმაურის ინტენსივობა 45-50 დეციბალის ფარგლებში მერყეობს, ხმაურის წყაროა ბინებიდან 20-25 მეტრით დაშორებული მაღალი ძაბვის სამი ელექტროტრანსფორმატორი, [illegible] ფიზიკური პარამეტრები მნიშვნელოვნად აჭარბებს ხმაურის გამომწვევი ტალღების ინტენსივობის დასაშვებ ნორმებს. დასკვნის თანახმად, არა თუ 40-45 დცბ., არამედ 20 დცბ.-ის ინტენსივობის ხმაურიც კი იწვევს სმენადობის დაქვეითებას, 25 დცბ აძნელებს ბგერის აღქმადობას, ხოლო უფრო მაღალი ინტენსივობა იწვევს არტერიული წნევის რეჟიმის დარღვევას და მთელ რიგ ფსიქოსომატურ დაავადებებს, რადგან ხმაური არის არა მომენტალური ან პერიოდული, არამედ უწყვეტი, რაც მნიშვნელოვნად ზრდის უარყოფითი ზემოქმედების ეფექტს.

მოსარჩელეები აღნიშნავდნენ, რომ დ. უზნაძის №4-ის სახლის მაცხოვრებელთა სარჩელის განხილვისას [illegible]-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის საფუძველზე მოპასუხე - სს „თბოელექტროცენტრალის" ხელმძღვანელობამ იკისრა ჰუმანიტარული დახმარების სახით უსასყიდლოდ მიეწოდებინა სახლის მაცხოვრებელთათვის ცხელი წყალი და ელექტროენერგია, მობინადრეებმა თავის მხრივ იკისრეს ვალდებულება წესრიგში მოეყვანათ ცხელი წყლის გაყვანილობა. მობინადრეთა მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულების მიუხედავად, მოპასუხეს არცერთი ვალდებულება არ შეუსრულებია. მოსარჩელეები ფიზიკური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ამყარებდნენ სკ-ის 318-ე, 408-ე, მე-1000 მუხლებზე მითითებით. მოსარჩელეები უთითებდნენ, რომ 18 მეგავატი ენერგიის მისაღებად სს „თბოელექტროცენტრალი" ერთ საათში წვავს დაახლოებით 10000 მ^{3} ჟანგბადს, რადგან ჰაერში ჟანგბადის შემცველობა დაახლოებით 30%-ია, ამიტომ ყოველ საათში ნადგურდება 10000 მ^{3} ჰაერი. სს „თბოელექტროცენტრალი" გაზზე მუშაობისას დღე-ღამეში ანადგურებს 2 400 000 მ^{2} ჰაერს და მის ნაცვლად გამოაფრქვევს მავნე გამონაბოლქვს, რის გამო მოსარჩელეთა ბინებში ჰაერის ნაკლებობა და მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის მეტობას აქვს ადგილი. მხედველობაშია მისაღები ის, რომ სს „თბოელექტროცენტრალი" გაზით მოხმარების რეჟიმზე რამდენიმე წლის წინ გადავიდა, მანამდე საწვავად იყენებდნენ მაზუთს, რაც უფრო მეტად აძლიერებდა მავნე ზემოქმედებას. ქ. თბილისის მერიის გადაწყვეტილების საფუძველზე შედგენილი ეკოლოგიური მდგომარეობის რუკის თანახმად, უზნაძის ქ. №4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი მდებარეობს მაღალი დაბინძურების ზონაში, სადაც ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია საგრძნობლად აღემატება საშუალო მონაცემებს ქ. თბილისში.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 12.03.04წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე სს „თბოელექტროცენტრალს" დაეკისრა ვალდებულება ქ. თბილისში, დ. უზნაძის ქ. №4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სარდაფში სს „თბოელექტროცენტრალის" მხრიდან მზიდ კედელში შემავალი წყლის დინების აღკვეთა და ამ მზიდი კედლის აღდგენა. კოლეგიის გადაწყვეტილებით მოპასუხეებს თბილისის მერიას, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სს „თბოელექტროცენტრალს" სოლიდარულად დაეკისრათ ა. წულუკიანის და

თ. ქამუშაძის სასარგებლოდ ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული მორალური ზიანის საკომპენსაციოდ თითოეულისათვის 5000 ლარის გადახდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს კოლეგიამ დადგენილად ცნო, რომ მოსარჩელეთა საცხოვრებელი სახლი ემიჯნება ჯერ კიდევ 1911 წელს აშენებულ სს „თბოელექტროცენტრალის" ტერიტორიას, რომელზეც განლაგებულია ძაბვის ტრანსფორმატორები, გენერატორები, აგრეთვე გადის 50 ჰც სიხშირის ელექტრონული ველის წყარო, მაღალი ძაბვის ხაზები. 2001 წლის თებერვლიდან სს „თბოელექტროცენტრალი" აღარ ფუნქციონირებს სრული დატვირთვითა და გენერაციის რეჟიმში, მიუხედავად ამისა მის ტერიტორიაზე დღესაც უწყვეტად მოქმედებს ელექტროენერგიის ძაბვის მძლავრი რამოდენიმე ტრანსფორმატორი 'რის გამოც წარმოიქმნება ხმაური. კოლეგიამ საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნაზე დაყრდნობით დადგენილად ცნო, რომ თ. ქამუშაძის და ა. წულუკიანის საცხოვრებელ ბინაში ხმაური აჭარბებს დასაშვებ დონეს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგენილ დიაგნოზზე დაყრდნობით, კოლეგია მივიდა დასკვნამდე, რომ უარყოფით ზეგავლენას შედეგად მოჰყვა მათი სხვადასხვა ავადმყოფობებით დაავადება. ამასთანავე, კოლეგიამ დაუდასტურებლად მიიჩნია, რომ მოსარჩელეების ჯანმრთელობას ვნება მიადგა სს „თბოელექტროცენტრალის" საკვამურებიდან გამოფრქვეული ნივთიერებათა ზეგავლენის გამო. კოლეგიამ მიუთითა, რომ მოსარჩელეები მოითხოვენ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას 2 500 000 ლარის ოდენობით და ყოველთვიურად თითო სულისათვის 200-200 ლარის გადახდას ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მოსარჩელეები არ უთითებენ კონკრეტულად როდის და რა რაოდენობით ხარჯი გასწიეს მოპასუხეების ბრალეულ მოქმედებათა გამო, რა ხარჯი, როდის და რის გამო უნდა გასწიონ მომავალში.

ნაწილობრივ დასაბუთებულად იქნა მიჩნეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეებს თ. ქამუშაძეს და ა. წულუკიანს უნდა აუნაზღაურდეთ ჯანმრთელობის ვნებით მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება იმ სულიერი ტრავმის საკომპენსაციოდ, რომელიც მათ განიცადეს დ განიცდიან სს „თბოელექტროცენტრალის" ტრანსფორმატორების მუშაობით გამოწვეული ხმაურის გამო. მოსარჩელეების მიერ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მითითებული თანხა (500000 ლ) აშკარად შეუსაბამოდ მიიჩნია მათ მიერ განცდილ ზიანთან მიმართებაში და დაადგინა, რომ ასანაზღაურებელი

თანხის ოდენობა თითოეულისათვის 5000 ლარის ოდენობით უნდა განისაზღვროს. კოლეგიამ მიიჩნია. რომ ზიანის გამომწვევი მიზეზებია მოპასუხეების - თბილისის მერიის. გარემოს და ბუნებრივი დაცვის სამინისტროსა და სს „თბოელექტროცენტრალის" ბრალეული ქმედებები. კოლეგიამ მიუთითა, რომ სს „თბოელექტროცენტრალის" ყოველდღიური სამეწარმეო საქმიანობა არის ამ ზიანის უშუალო გამომწვევი მიზეზი. რომელსაც მოსარჩელეები თ. ქამუშაძე და ა. წულუკიანი განიცდიან. „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" ორგანული კანონის 26.1 მუხლის „ე" ქვეპუნქტის და „საქართველოს დედაქალაქის შესახებ" კანონის 9.1 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად მერია ვალდებულია გაატაროს ღონისძიებები გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. გარემოს დაცვის სფეროში ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა, გარემოს დაბინძურების ინტეგრირებული კონტროლის სისტემის რეგულირება და ზედამხედველობა საქართველოს პრეზიდენტის 28.03.93წ №198 ბრძანებულებით დამტკიცებული გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დებულების მე-10 მუხლის თანახმად სამინისტროს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას შეადგენს. კოლეგიამ მიიჩნია, რომ მერიამ და სამინისტრომ ვერ შეასრულეს მათზე დაკისრებული ვალდებულებანი, მოსარჩელეთა არაერთი განცხადება-საჩივრის მიუხედავად არ გატარებულა კონკრეტული ღონისძიებები მათ ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად, რის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება, სს „თბოელექტროცენტრალთან" ერთად სოლიდარულად უნდა დაეკისროს მერიას და სამინისტროს.

საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ საცხოვრებელი სახლის სარდაფში გამუდმებით მიედინება წყალი, დანესტიანების გამო სარდაფის დანიშნულებით გამოყენება შეუძლებელია, რის გამო ზიანის აღკვეთა დაეკისრა სს „თბოელექტროცენტრალს".

სამართლებრივად დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული სასარჩელო მოთხოვნის ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებულ მოქმედებათა არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრებას. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონი და სისხლის სამართლის კოდექსი გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის არ ითვალისწინებს საურავის და პირგასამტეხლოს დაკისრებას.

ტექტონიკური და სასარულებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებლად იყო მიჩნეული ნარჩენების მოთხოვნა ცხელი წყლით და ეათობიო ოფიციალურ უბრალოდ ეყრდნობა მოთხოვნის ნაწილში. კოლეგიამ მიუთითა, რომ ქალაქის მოსახლეობის უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში არ ფიქსირდება ცხელი წყალი და გათბობა. არც ერთი მოპასუხე ამგვარ საქმიანობას არ ეწევა. მოთხოვნა სკ-ის 319-ე მუხლის დარღვევით ფაქტიურად წარმოადგენს გარიგების დადების ვალდებულების ძალისათვის დაკისრებას.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 12.03.04წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრეს ფ. ქაშუბავამ, ი. ჯაფარიძემ, ლ. ალავიძემ, ... ალორეშიძემ, ა. წოლოკიანმა. კასატორებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მათი სასარჩელო მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორები აღნიშნავენ, რომ „თეცის" საკუთრებიდან ამოფრქვეული ნივთიერებები, ვენერატორების, ტრანსფორმატორებისა და ვენტილატორების უწყვეტი ხმაური ზიანის მომტანია „ადამიანურობისათვის", რადგან ამოფრქვეული მავნე ნივთიერებების ქვეშ მოექცა მათი საცხოვრებელი კორპუსი. „თეცს" არ გააჩნია სანიტარულ-დამცავი ზონის ფართობი. „გარემოს დაცვის შესახებ" კანონისა და „ატმოსფეროული ჰაერის დაცვის შესახებ" კანონის შესაბამისად, ხელმოწერილია „ეკოლოგიური პასპორტი" აღარ გამოიყენება, მას ეწოდა ნორმატივების პროექტი. მიუხედავად ამისა, 2000 წელს ავტორები ამ დოკუმენტს კვლავ ეკოლოგიურ პასპორტს უწოდებდნენ. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 11.12.2000წ. ბრძანებით დამტკიცებული „ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების პროექტების შემუშავების შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად, ზემოაღნიშნული დოკუმენტის სახელწოდებაა „ზდვ" და არა ეკოლოგიური პასპორტი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ როგორც ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვის კომიტეტი ასევე „თეცის" ადმინისტრაცია ხელმძღვანელობენ უკვე არარსებული აქტებით. „თეცის" ეკოლოგიურ პასპორტს თარიღი არ აქვს, ბოლო უთარიღო დოკუმენტით სარგებლობა და ასეთი საშიში საწარმოს ექსპლუატაცია დაუშვებელია. გარდა ამისა, „თეცის" პასპორტის დამტკიცება მოხდა რაუფლისმოსილი პირის მიერ, რითაც დაირღვა 28.08.37წ. დამტკიცებული „ზდვ ნორმატივების პროექტის შესახებ" კანონის მე-18 მუხლის, ძე-2 ნაწილი, 29-ე და 35-ე მუხლები. ხსენებული

მუხლების თანახმად, პასპორტში მოთითებული ... ეფუძნა იყოს მითითებული მავნე ნივთიერება. მათი ეკამური მავნე ზემოქმედება. ზიანის ხიდიდე და სხვა მაჩვენებლები, რაც „თეცის" პასპორტში აღნიშნული არ არის. „თეცის" საკუთარ მილებზე ფილტრები არ არის დაყენებული, რაც ასევე კანონის დარღვევას წარმოადგენს. ამასთან, „თეცს" არ აქვს ლიცენზია წყლის გამოსაყენებლად და წყალმზომების ნაცვლად წყალს მილის დიამეტრით ზომავენ. „თეცს" არ გააჩნია ნარჩენების უტილიზაციის ნებართვა. წყალგამთბობი ქვაბები 1956, 1959, 1975, 1978 წლებიდანაა ექსპლუატაციაში, ამორტიზირებულია და საჭიროებენ დემონტაჟს. ხოლო „წყლის შესახებ კანონის" თანახმად, საწარმოში გამოყენებული წყალი გაწმენდილი უნდა იქნეს ჩაშვებული ბუნებრივში. ნარჩენები უნდა ჩაიმარხოს. აღნიშნული საქმიანობისათვის საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოპასუხეს უნდა გადიხადა გადასახადი, რაც მის მიერ წარმოდგენილ დეკლარაციაში არ ასახულა.

კასატორები აღნიშნავენ, რომ „თეცს" საერთოდ არ ჰქონდა საწარმოს ექსპლუატაციის უფლება, რადგან ლიმიტი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით გაიცა, კერძოდ, იგი არ შეესაბამებოდა „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" კანონს, „გარემოს დაცვის შესახებ" კანონს და დებულება-რეკომენდაციას. ლიმიტის გაცემის თარიღად მითითებულია 11.01.01წ. მაშინ, როდესაც კანონის თანახმად, ლიმიტი დამტკიცებული და რეგისტრირებული უნდა იყოს სამეურნეო წლის დასაწყისამდე. გაფრქვევის უფლებას საწარმო მოიპოვებს მხოლოდ ლიმიტის რეგისტრაციის დღიდან. ყველა შემთხვევაში 2001 წლის 1 იანვრიდან 11 იანვრამდე ულიმიტოდ ანუ უნებართვოდ ახდენდნენ „თეცის" ექსპლუატაციას და მავნე ნივთიერებათა გაფრქვევას. „ატმოსფერული ჰაერის შესახებ" კანონის 37-ე და მე-60 მუხლების, გარემოს დაცვის მინისტრის 27.08.01წ. ბრძანების შესაბამისად, დგინდება მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ინდექსი, მათი აღრიცხვა და ანგარიშგება. „თეცის" დოკუმენტაციას თან არ ახლავს ინდექსი და აღრიცხვა-ანგარიშგება. „თეცის" მუშაობა ეწინააღმდეგება „გარემოს დაცვის შესახებ" კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს, ვინაიდან მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია დიდად აჭარბებს დასაშვებ ნორმას. გარემოს დაცვის შესახებ მთელი რიგი კანონები კრძალავს გარემოს, მათ შორის ატმოსფერული ჰაერის იმგვარ დაბინძურებას, რაც ზიანს აყენებს ან შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანს. 22.03.2000წ. შედგენილი დასკვნით დასტურდება, რომ „თეცის" ტერიტორიაზე ტრანსფორმატორების მუშაობით გამოწვეული ხმაურის დონე აჭარბებს

დასაშვებ ნორმების ე�е არის უწყვეტი და უარყოფითი ზემოქმედების [illegible] შინაარსულოვნიდან გადიდებული. ხმაურის წყაროა სამი ელექტროტრანსფორმატორი. კასატორები აღნიშნავენ, რომ მათ სახლში ხმიერი ნივთიერებების, ნარშირწყალბადების და მტვრის შემცველობის კონცენტრაციის მრავალჯერის აღემატება დასაშვებ ნორმებს. გარდა ამისა, ადგილი ელექტრომაგნიტური კამოსხივება, რომლის ხუსტი სიგნალიც კი უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. მოთხოვნის საფუძვლიანობის დასადასტურებლად კასატორები უთითებენ ევროპის [illegible] 09.12.94წ. გადაწყვეტილებას ნ. ლოპეზის სარჩელთან დაკავშირებით, რომლითაც კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის გამო, ესპანეთის მთავრობას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 4.000 000 პესეტის გადახდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს კოლეგიის 12.03.04წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა ქ. თბილისის მერიის მიერ. კასატორი აღნიშნავს, რომ ზემოქმედება მიმდინარეობს სს „თბოელექტროცენტრალის" ნორმალური სამეურნეო საქმიანობიდან, სკ-ის 175-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების შესაბამისად. ადგილი არ ჰქონია გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების ისეთ დარღვევებს, რომლის თმენის ვალდებულებაც მოსარჩელე მხარეს არ ჰქონდა. ამდენად, კასატორი თვლის, რომ კოლეგიას არ უნდა გამოეყენებინა „ადგილობრივი თვითმართველობისა და მმართველობის შესახებ" ორგანული კანონი და „საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ" კანონი. დაუსაბუთებელია მერიისათვის კომპენსაციის დაკისრება, თუ ზემოქმედება აღემატება დასაშვებ ფარგლებს, კასატორის აზრით, კომპენსაციის მოთხოვნა მიმართული უნდა იყოს არა ქ. თბილისის მერიის, არამედ სს „თბოელექტროცენტრალის" მიმართ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს საოლქო სასამართლოს კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმებას თბილისის მერიისათვის თანხების მოპასუხეებთან ერთად სოლიდარულად დაკისრების ნაწილში.

თბილისის საოლქო სასამართლოს კოლეგიის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა აგრეთვე სს „თბოელექტროცენტრალის" მიერ. კასატორი თვლის, რომ მას უმართებულოდ დაეკისრა სარდაფში წყლის ჩადინების აღკვეთის და კედლის აღდგენის ვალდებულება, ეინაიდან საქმეზე ჩატარებული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის მიხედვით წყლის წარმომავლობასთან დაკავშირებით ექსპერტი არ იძლევა კატეგორიულ დასკვნას. კასატორი არ ეთანხმება მისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას და აღნიშნავს, რომ 175.2 მუხლის

ფარგლებში მოსარჩელეები ვალდებულნი არიან ითმინონ ტრანსფორმატორების ხმაური, რადგან ძალიან ექსპლუატაცია ხორციელდება საზოგადოების ნორმალური სამეურნეო საქმიანობის ინტერესებში. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, ეინაიდან თბოელექტროცენტრალი საცხოვრებელ სახლზე უფრო ადრეა აშენებული. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შრომის დაცვის ინსტიტუტის დასკვნის მიხედვით ხმაურის დასაშვები დონის გადაჭარბებას აქვს მხოლოდ ღამის საათებში, მისი მავნე ზემოქმედება მოსარჩელეებზე დადგენილი არ არის. ხმაურის პარამეტრების გაზომვისას არ არის გათვალისწინებული ფონური ხმაური. არასრულყოფილია ა. წულუკიანის ბინაში ჩატარებული ხმის გაზომვების ჩონაცემები, ეინაიდან დასკვნის მიხედვით ა. წულუკიანის ბინაში და ბინის გარეთ ზღვრული ნორმის გადაჭარბების ერთნაირი ჩონაცემი არის დაფიქსირებული. სასამართლო პროცესზე დაკითხულმა ექსპერტმა ა. ნიკოლაიშვილმა განმარტა, რომ ბინაში გაზომვის ჩატარების დროს ფანჯარა ოდნავ ღია იყო ანუ დასკვნა აბსოლუტური სიზუსტით არ ასახავს ბინაში არსებულ ხმაურს ფანჯრის დახურულ მდგომარეობაში ყოფნის დროს, ექსპერტმა ვერ დაასაბუთა თუ რატომ იქნა ჩატარებული გაზომვა ნახევრად გაღებული ფანჯრის პირობებში და ვერ მიუთითა შესაბამის ნორმატიულ საფუძველზე. კასატორი თვლის აგრეთვე, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია სსკ-ის 45.2 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, რომელიც ითვალისწინებს ექსპერტისათვის განმარტების მიცემას მხოლოდ სასამართლოსთან დადებული შეთანხმების საფუძველზე, ასეთი შეთანხმება ექსპერტებთან დადებული არ ყოფილა, გარდა ამისა ექსპერტის მიერ შესრულებული სამუშაო შედის მის სამსახურებრივ მოვალეობებში, ექსპერტის დასკვნით სს „თბოელექტროცენტრალის" ბრალეულობა დადგენილი არ ყოფილა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს გადაწყვეტილების გაუქმებას სს „თბოელექტროცენტრალის" მიმართ და ამ ნაწილში საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნებას.

საკასაციო პალატის სხდომაზე თ. ქამუშაძემ, თ. ჯულელმა, ლ. ალავიძემ, თ. გურეშიძემ, ა. წულუკიანმა, აგრეთვე ქ. თბილისის მერიის და სს „თბოელექტროცენტრალის" წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს თავიანთ საკასაციო საჩივრებს და ითხოვეს მათი დაკმაყოფილება. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენელმა თ. ქამუშაძის და ხხვათა საკასაციო საჩივრის საფუძვლები არ ცნო და მხარი დაუჭირა ქ. თბილისის მერიის საკასაციო

საჩივარს. პროექტის სხვა მხარეები საკასაციო სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადებულან.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატა საქმის მასალების, საკასაციო საჩივრების საფუძვლების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ ქ. თბილისის მერიის და სს „თბოელექტროცენტრალის" საკასაციო საჩივრები არ უნდა დამაკმაყოფილდეს, ა. წულუკიანის, თ. ქამუშაძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო ი. ჯუღელის, ლ. ალავიძის, ო. გურეშიძის საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს საოლქო სასამართლოს კოლეგიის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მავნე ნივთიერებების ამოფრქვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში მოთხოვნა არის დაუსაბუთებელი. საკასაციო საჩივარში მოყვანილი მოსაზრებები ბუნებისდამცავი დოკუმენტაციის (ეკოლოგიური პასპორტის, ლიცენზიის და. სხვ) კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით შედგენის შესახებ არ ქმნის სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველს, ვინაიდან მოსარჩელეებს არ მოუთხოვიათ თბოელექტროსადგურის ფუნქციონირებისათვის საჭირო ნებართვების გაუქმება, ობიექტის ექსპლოატაციის შეჩერება, ობიექტზე გარემოსდამცავი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა თბოელექტროსადგურის საკვამურებზე ფილტრების დაყენება და სხვ. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლიანობას არ ადასტურებს აგრეთვე კასატორის მითითება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეზე „ლოპეზ ოსტრა (LOPEZ OCTRA) ესპანეთის წინააღმდეგ" გამოტანილი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში (09.12.94წ) სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და დააკისრა მოპასუხე სახელმწიფოს ზიანის ანაზღაურება იმის გათვალისწინებით, რომ ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხანა აშენდა და ფუნქციონირებდა განმცხადებლის სახლთან მიმდებარე ტერიტორიაზე, რამაც გამოიწვია განმცხადებლის ცხოვრების წესის რადიკალური ცვლილება, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის საჭიროება, ახალი სახლის შესაძენად, მასში გადასასვლელად საჭირო თანხების გაღება. რაც შეეხება განსახილველ საქმეს, საქმეზე დადგენილად არის ცნობილი და დავას არ იწვევს, რომ თავდაპირველად

აშენდა თბოელექტროსადგური (1911წ), 1931 წელს მას ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, ხოლო 1939 წელს თბოელექტროცენტრალი შევიდა ექსპლუატაციაში (ტ.4, ს.ფ. 55). საცხოვრებელი სახლი, მდებარე ქ. თბილისში, უზნაძის ქ. №4, რომელშიც ცხოვრობენ კასატორები, თეცის მოქმედების პერიოდში, 1952 წელს არის აშენებული. ამდენად შეუძლებელია თეცის დაპროექტებით და მშენებლობით გარემოსდამცავი კანონმდებლობის დარღვევის დადგენა. კასატორებს 2001 წლის ოქტომბრამდე არ უთხოვიათ თბოელექტროსადგურის ფუნქციონირების გამო ზიანის ანაზღაურება, თუმცა შეგნებული ჰქონდათ მავნე ზემოქმედების საშიშროება, არ დამდგარა თეცის ექსპლუატაციის კანონიერების საკითხი, „საშიში ნივთიერებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ" კანონის 6.6 მუხლის მიხედვით პასუხისმგებელი პირი თავისუფლდება სხვა პირისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის გადახდის ვალდებულებისაგან, თუ მან იცოდა დაბინძურების რისკის არსებობის შესახებ და თავად ჩაიგდო თავი საფრთხეში. თბოელექტროსადგურის მეშვეობით ხდებოდა სადგურის გარშემო ტერიტორიაზე მდებარე მოსახლეობის და სხვადასხვა ობიექტების მომარაგება ცხელი წყლით და გათბობით. აღნიშნულიდან გამომდინარე გარკვეული ზემოქმედება გამოწვეული იყო თბოელექტროსადგურის ნორმალური სამეურნეო საქმიანობით, მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებით. სკ-ის 175-ე მუხლის მიხედვით, მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს მეზობელი ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე გაზის, ორთქლის, ბუნის, ჭვარტლის, კვამლის, ხმაურის, სითბოს, რყევების ან სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი, თუკი ისინი ხელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში ან. უმნიშვნელოდ ხელყოფენ მის უფლებას. სკ-ის 175-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ო

ეე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ზემოქმედება არხებითია, მაგრამ იგი გამოწვეულია სხვა ნაკვეთით ან სხვა უძრავი ქონებით ჩვეულებრივი სარგებლობით და არ შეიძლება მისი აღკვეთა ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც ამ სახის მოსარგებლეთათვის ნორმალურ სამეურნეო საქმიანობად მიიჩნევა. თბოელექტროსადგურის მეშვეობით ხდებოდა სადგურის გარშემო ტერიტორიაზე მდებარე მოსახლეობის და სხვადასხვა ობიექტის მომარაგება ცხელი წყლით და გათბობით. თეცის ეკოლოგიური უსაფრთხოების შესახებ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული სამინისტროს საექსპერტო დასკვნის მიხედვით (ტ.4, ს.ფ. 50-52) თეცის ნორმალური მუშაობისათვის მნიშვნელობა აქვს მის განლაგებას

მომხმარებელთან უშუალო სიახლოვეს, რადგან ორთქლისა და ცხელი წყლის გადაცემა ახლო მანძილზეა შესაძლებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორებზე გარკვეული ზემოქმედება გამოწვეული იყო თბოელექტროსადგურის ნომალური სამეურნეო საქმიანობით, მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებით. თავის მხრივ, საცხოვრებელი სახლის მაცხოვრებლები ეთანხმებოდნენ თბოელექტროსადგურის ფუნქციონირებით გამოწვეულ გარკვეულ ეკოლოგიურ დისკომფორტს, საქმის მასალებით დასტურდება, რომ საცხოვრებელი სახლის მაცხოვრებლები წინა პერიოდში მოითხოვდნენ არა ობიექტის ექსპლუატაციის შეჩერებას, გარემოსდამცავი ღონისძიებების გატარებას, არამედ თეცის ექსპლუატაციით გამოწვეული ეკოლოგიური დისკომფორტის გამო გარკვეული შეღავათების მინიჭებას (სახლის შეუზღუდავ ფიდელზე მივრთებას, ცხელი წყლით, გათბობით, დენით უფასოდ მომარაგებას). უფრო მეტიც, კასატორების ზოგიერთი მოთხოვნა, კერძოდ სს „თბოელექტროცენტრალისათვის" უფასოდ ცხელი წყლით კასატორების მომარაგების მოთხოვნა, ფაქტობრივად უტოლდება თეცის ექსპლუატაციის აღდგენის მოთხოვნას. საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოყვანილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასარჩელო მოთხოვნის აღნიშნული ნაწილი სკ-ის 319-ე მუხლით აღიარებული მხარეთა ნების ავტონომიის და ხელშეკრულების დადების თავისუფლების საწინააღმდეგოდ, ფაქტიურად წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების დადების ვალდებულების მხარისათვის დაკისრებას. ზემოაღნიშნულთან ერთად, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ 2001 წლის 2 თებერვლიდან შეწყვეტილია ელექტრო და თბოენერგიის გამომუშავება. ამდენად, ობიექტის ექსპლუატაციის შეჩერების გამო, საქმის განხილვის პერიოდისათვის მოსარჩელეები არ განიცდიდნენ სს „თბოელექტროცენტრალის" საკვამურიდან გამოფრქვეულ ნივთიერებათა მავნე ზემოქმედებას, ამასთანავე კასატორები ვერ ასახელებენ თუ რა ზიანი მიადგა კასატორებს წინა წლებში მავნე აირების ზემოქმედებით, რაში გამოიხატა კონკრეტულად რეალური, მატერიალური ზიანის მიყენება, რა ხარჯების გაწევა მოუხდათ კასატორებს თბოელექტროსადგურის ფუნქციონირების შედეგად, კასატორები ვერ ასახელებენ მკურნალობაზე გაწეულ ან გასაწევ ხარჯებს, მოსარჩელეთაგან გ. გოჩაშვილმა და ლ. ალავიძემ საერთოდ უარი თქვეს სამედიცინო გამოკვლევაზე. თითოეული კასატორისათვის ზიანის ოდენობის დადასტურება კასატორებმა ვერც საკასაციო ინსტანციის სასამართლოში შეძლეს.

ზიანის ანაზღაურების საფუძველს არ ქმნის საკასაციო საჩივრის მითითება სს „თბოელექტროცენტრალის" მიერ მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის დაწესებულებული გადასახადების გადაუხდელობაზე. საგადასახადო კოდექსის ნორმები გამოიყენება მხოლოდ გადასახადებით დაბეგვრასთან დაკავშრებული საკითხების რეგულირებისათვის და არ ქმნის ფიზიკური პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველს. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის დაწესებული ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამაზღვრელი ნორმები ემსახურება გადასახადებით დაბეგვრის უზრუნველყოფას და ასევე ვერ დაედება უზნაძის ქ. №4 მაცხოვრებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ. რომ სს „თბოელექტროცენტრალის" საკვამურიდან გამოფრქვეულ ნივთიერებათა ზემოქმედებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო. ამასთანავე, მოსარჩელეებს არ მოუთხოვიათ სს „თბოელექტროცენტრალის" ტერიტორიაზე გარემოსდამცავი ღონისძიებების (საკვამურებზე მავნე აირებისაგან დამცავი ფილტრების მოწყობა, ხმაურსაიზოლაციო სამუშაოების ჩატარება და სხვ.) გატარების დავალება მოპასუხისათვის, სკ-ის 248-ე მუხლის თანახმად სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს მხარეს თავისი გადაწყვეტილებით ის, რაც მას არ უთხოვია.

საფუძველსმოკლებულია თ. ქამუშაძის, ი. ჯუღელის, ლ. ალავიძის, ო. გურეშიძის, ა. წულუკიანის საკასაციო საჩივარში მოყვანილი მოსაზრება ელექტრომაგნიტური გამოსხივების კასატორებზე მავნე ზემოქმედების შესახებ. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს დაცვის ინსტიტუტის მავნე ველების განყოფილების სპეციალისტების მიერ ჩატარებული ელექტრული ველის დაძაბულობის შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ სს „თბოელექტროცენრალის" ტერიტორიაზე შემავალი მაღალი ძაბვის ხაზებიდან და იქვე განლაგებული ქვესადგურის ელექტროდანადგარებიდან, ამჟამად მოქმედ რეჟიმში, ელექტრული ველის დაძაბულობა გვერდით მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ბინებში თავის მაქსიმალურ მაჩვენებლებში არ აღემატება კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ მნიშვნელობებს. სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებსა და წესებზე სახელმწიფო ზედამხედველობის ინსპექციის უფროსის 17.01.03წ.

წერილით (იხ. ტ.3. ს.ფ. 125) არკვევა, რომ შემდგომში ჩატარებული გაზომვებით დაფიქსირდა ზოგიერთ შემთხვევაში ელექტრომაგნიტური ველის დაძაბულობის ზღვრულად დასაშვები დონის გადამეტება, რაც არ ადასტურებს სახელდობრ მოსარჩელეთა საცხოვრებელ ბინებში დადგენილი ნორმების დარღვევას, ამასთანავე წერილის თანახმად ჩატარებული გამოკვლევები არ იძლევა საბოლოო ჰიგიენური დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, ვინაიდან უცნობია ელექტრომაგნიტური ველის წარმომქნელი წყაროს მქონე ყველა ობიექტი, საკითხი საჭიროებს შემდგომში ამ ობიექტების მფლობელი ორგანიზაციების მონაწილეობით შესაბამისი კვლევების ჩატარებას ამ ობიექტების მიერ წარმოქმნილი ელექტრომაგნიტური ველის დონეების დასადგენად. ამდენად, სს "თბილელექტროცენტრალის" ტერიტორიაზე შემაღალი მაღალი ძაბვის ხაზებიდან და ელექტროდანადგარებიდან წარმოქმნილი ველის შედეგად კასატორებისათვის ზიანის მიყენება არ დასტურდება, შესაბამისად არ არსებობს ზიანის ანაზღაურების საფუძველი.

მიუხედავად იმისა, რომ თბილელექტროსადგური არ ფუნქციონირებს სრული დატვირთვით და გენერაციის რეჟიმში, იგი კვლავინდებურად რჩება ხმაურის წყაროდ, მის ტერიტორიაზე უწყვეტად მოქმედებს ელექტროენერგიის ძაბვის მძლავრი რამოდენიმე ტრანსფორმატორი. სს „თბილელექტროცენტრალის" ტერიტორიაზე განლაგებული ტრანსფორმატორების უწყვეტი მოქმედების შედეგად წარმოქმნილი ხმაური აჭარბებს ზღვრულ ნორმებს. საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად დადგენილია, რომ თ. ქამუშაძის საცხოვრებელ ბინაში (ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №4, 8) ტრანსფორმატორების მუშაობით წარმოქმნილი ხმაური აჭარბებს დასაშვებ დონეს ღამის საათებში 10 დბA სიდიდით, ა. წულუკიანის საცხოვრებელ ბინაში (ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №4,10) ხმაური 3 დბA სიდიდით აჭარბებს დასაშვებ დონეს, რის გამო არსებობს თ. ქამუშაძის და ა. წულუკიანის მოთხოვნის ნაწილობრივი დაკმაყოფილების საფუძველი. დანარჩენი კასატორების ი. ჯუღელის, ო. გურეშიძის და ლ. ალავიძის საცხოვრებელ ბინებში ტრანსფორმატორებიდან გავრცელებული ხმაური არ აღემატება დასაშვებ სიდიდეებს. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ საოლქო სასამართლოს კოლეგიის მიერ მართებულად ეთქვა უარი ზიანის ანაზღაურებაზე ი. ჯუღელის, თ. გურეშიძის და ლ. ალავიძის სასარჩელო მოთხოვნებს დაუსაბუთებლობის გამო. ვინაიდან სს „თბოელექტროსადგურის" ტერიტორიაზე განლაგებული ტრანსფორმატორების უწყვეტი მოქმედების შედეგად წარმოქმნილი

ხმაური აჭარბებს ზღვრულ ნორმებს, საკასაციო პალატა შესაძლებლად თვლის ა. წულუკიანის და თ. ქამუშაძის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ა. წულუკიანს დაუდგინდა შემდეგი დიაგნოზი - ნევროზული მდგომარეობა, ასთენიური სინდრომი, ქრონიკული ბრონქიტი ასთმური კომპონენტით, I ხარისხის სუნთქვის უკმარისობა. ექსპერტების მიერ ჩატარებული გამოკვლევებით თ. ქამუშაძეს დაუდგინდა ვეგეტო-ასთენიური სინდრომი, აგრეთვე ქრონიკული ჰიპერტროფიული ფარინგიტი, ორივე თვალის ჰიპერმეტროპია, პრეპბიოპია. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთა კომისიამ დასაშვებად მიიჩნია, რომ ვეგეტო-ასთენიური და ნევრასტენიული სინდრომები, ქრონიკული ბრონქიტი ასთმური კომპონენტებით, სუნქვის უკმარისობა გამოწვეული იყოს მავნე ფაქტორების ხანგრძლივი ერთობლივი ზემოქმედების შედეგად. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" კანონის მე-11 მუხლის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერზე ხმაურის ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ანტროპოგენური ზემოქმედების ერთ-ერთი სახეობათაგანია. სანიტარული კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, საცხოვრებელი ბინა ხმაურის დონით უნდა აკმაყოფილებდეს სანიტარულ ნორმებს. ამავე კოდექსის 27-ე მუხლის მიხედვით იურიდიული პირი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია ფიზიკური ფაქტორების (ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ფიზიკური ფაქტორები) წარმოქმნასთან, ვალდებულია დაიცვას სანიტარული ნორმები, აგრეთვე განახორციელოს ღონისძიებები საწარმოო, საცხოვრებელი, საზოგადოებრივ შენობებსა და დასახლებული ადგილის საცხოვრებელ ტერიტორიებზე ფიზიკური ფაქტორების აღმოფხვრის ან მათი ინტენსივობის დონის ჰიგიენურ ნორმატივებამდე შემცირებისათვის. ხმაურის, ვიბრაციის, ელექტრომაგნიტური ველების და სხვაგვარი ფიზიკური ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმები „გარემოს დაცვის შესახებ" კანონის 29-ე მუხლის I-ლი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივ მაჩვენებელს წარმოადგენს. „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 16.08.01წ. №297/6 ბრძანებით (სსმ III, 2001წ, №90, მუხ. 647) დამტკიცებული „ხმაური ხმაურიან ადგილებზე, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების სათავსებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე" №3 დანართით განსაზღვრულია ხმაურის მაქსიმალური დონეები საცხოვრებელი

შენობების სათავსოებში. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით ტრანსფორმატორების მუშაობის შედეგად გამოწვეული ხმაური აჭარბებს ზღვრულ ნორმატივებს. ტრანსფორმატორების დანერგვა პრაქტიკულად ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში აქტუალური გახადა მისი ხმაურის შემცირების საკითხი. კანონმდებლობა იურიდიულ პირებს აკისრებს დადგენილი ნორმების დაცვას არამხოლოდ ობიექტის დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლუატაციის დროს, არამედ მოქმედი ობიექტის რეკონსტრუქციის, ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლების პროცესში (საქართველოს სანიტარული კოდექსის 30.2 მუხ), მით უფრო, რომ სამრეწველო საწარმოების გარე ხმაურის წყაროებს და საცხოვრებელ სახლებს შორის დაცილების მანძილი მცირეა, რაც ქალაქის ძველ რაიონებში, სადაც არ არსებობს სამრეწველო და საცხოვრებელი ტერიტორიების მკვეთრი ზონირება, იწვევს მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას აკუსტიკური ეკოლოგიის ნორმების დარღვევას.

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ კასატორები თ. ქამუშაძე და ა. წულუკიანი განიცდიან სს „თბილელექტროცენტრალის" ტრანსფორმატორების მუშაობით გამოწვეული ხმაურის უარყოფით ზეგავლენას, რადგან ამ ხმაურის დონე აღემატება დასაშვებ ზღვრულ ნორმებს. სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოსათვის საეალდებულოა თბილისის საოლქო სასამართლოს კოლეგიის გადაწყვეტილებით დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ამ უარყოფით ზეგავლენას შედეგად მოჰყვა თ. ქამუშაძის და ა. წულუკიანის სხვადასხვა დაავადებები. სკ-ის 408-ე მუხლის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. სასარჩელო განცხადება, საქმის მასალები არ შეიცავს მტკიცებულებებს იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა რაოდენობის ხარჯი გასწიეს მოსარჩელეებმა მოპასუხეების ბრალეულ მოქმედებათა გამო, რამდენად გაიზარდა მათი ხარჯები. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საოლქო სასამართლოს კოლეგიის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოსარჩელეების მოთხოვნა ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ნაწილში არის დაუსაბუთებელი. ამასთანავე, საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ კასატორები თ. ქამუშაძე და ა. წულუკიანი ამჟამადაც განიცდიან ხმაურის ზღვრული ნორმების გადაჭარბებით გამოწვეულ მავნე ზემოქმედებას. სკ-ის 413-ე მუხლის თანახმად, სხეულის დაზიანების ან

ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვისაც. საკასაციო პალატა იზიარებს საოლქო სასამართლოს კოლეგიის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კასატორებს თ. ქამუშაძეს და ა. წულუკიანს უნდა აუნაზღაურდეს ჯანმრთელობის ვნებით მიყენებული არაქონებრივი ზიანი. კომპენსაციის გონივრულობისა და სამართლიანობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა შეხაძლებლად თვლის ანაზღაურების თანხის გაზრდას. საკასაციო პალატა აშკარად შეუსაბამოდ მიიჩნევს სასარჩელო განცხადებაში მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მითითებულ თანხას (500000 ლ) და თვლის, რომ კასატორების თ. ქამუშაძის და ა. წულუკიანის მოთხოვნა ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. იმის გათვალისწინებით, რომ სს „თბილელექტროცენტრალის" ტერიტორიაზე განლაგებული ჰაღალი ძაბვის ტრანსფორმატორები მომავალშიც იმოქმედებენ, საკასაციო პალატა ნაწილობრივად დასაბუთებულად თვლის კასატორების მოთხოვნას მოპასუხეებისათის მათ სასარგებლოდ ყოველთვიური თანხის ანაზღაურების გადახდის დაკისრების შესახებ, ვინაიდან სკ-ის 175-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პირს შეუძლია მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ფულადი კომპენსაცია იმ შემთხვევაში, როდესაც ზემოქმედება აღემატება მოცემულ ადგილას ჩვეულებრივად მიჩნეულ სარგებლობას და ეკონომიურად დასაშვებ ფარგლებს. სს „თბილელექტროცენტრალის" ტერიტორიაზე მძლავრი ტრანსფორმატორების მოქმედება არ არის გამოწვეული ცხელი წყლითა და გათბობით მოსახლეობის და სხვადასხვა ობიექტების მომარაგებით, თეცის ძირითადი ფონდების გამოყენებით, ტრანსფორმატორების მოქმედება გამიზნულია ელექტროენერგიის მიწოდების მომსახურებისათვის, რაც არ შეადგენს თეცის საქმიანობის ძირითად დანიშნულებას. თ. ქამუშაძე და ა. წულუკიანი განიცდიან ტრანსფორმატორების ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილი ხმაურის მავნე ზემოქმედებას, რომელმაც შესაძლოა მომავალში გაზარდოს კასატორების ხარჯები. სასარჩელო მოთხოვნის თანახმად ყოველთვიური ანაზღაურება მოპასუხეებს უნდა დაეკისროთ გადაწყვეტილების გამოტანიდან, ყოველთვიური ანაზღაურების ვალდებულება უნდა დაეკისროთ მდგომარეობის შეცვლამდე ანუ ხმაურის დადგენილი ზღვრული დონის გადამეტებით მავნე ზემოქმედების აღკვეთამდე. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ კასატორები თ. ქამუშაძე და ა. წულუკიანი არათანაბრად განიცდიან მავნე ფაქტორების ზეგავლენას, საკასაციო პალატა საჭიროდ თვლის ტრანსფორმატორების მუშაობის

შედეგად წარმოქმნილი ნეგატიური განცდების ინტენსიობის კარკვეულწილად ასახვას ზიანის ანაზღაურების ოდენობაზე.

საკასაციო პალატა არ იზიარებს ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარში მოყვანილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სკ-ის 175-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე კომპენსაციის მოთხოვნა მიმართული უნდა იყოს არა ქ. თბილისის მერიის, არამედ მხოლოდ სს „თბოელექტროცენტრალის" მიმართ, რომელიც მავნე ზემოქმედების ობიექტის მესაკუთრეს წარმოადგენს. ზიანის ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს პირს, რომელმაც ეს ზიანი მიაყენა სხვას მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან თუნდაც გაუფრთხილებელი მოქმედებით. „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" ორგანული კანონის მე-8 მუხლის I-ლი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფენ გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ღონისძიებათა გატარებას. „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისში ადგილობრივი მმართველობა ხორციელდება ქალაქ თბილისის მერიის მეშვეობით. კანონის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოსა და დედაქალაქის ერთობლივ კომპეტენციას განეკუთვნება. საკასაციო პალატა იზიარებს საოლქო სასამართლოს კოლეგიის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქ. თბილისის მერიამ ვერ შეასრულა კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ვალდებულება, მოპასუხის მიერ არ გატარებულა კონკრეტული ღონისძიებები ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად. ამდენად, არ არსებობს კასატორის მიერ მითითებული სსკ-ის 393-ე მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევა, რაც ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სს „თბოელექტროცენტრალის" საკასაციო საჩივარში მოყვანილ მოსაზრებებს და თვლის, რომ არ არსებობს აგრეთვე სს „თბოელექტროცენტრალის" საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი. საქმეზე ჩატარებული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად ქ. თბილისში, უზნაძის ქ. №4-ში მდებარე სარდაფში სს „თბოელექტროცენტრალის" მხრიდან მზიდ კედელში განუწყვეტლივ მოედინება წყალი და გაედინება შენობის წინა (მტკვრის სანაპიროს მხარეს მდებარე) კედელში მოწყობილი ხვრელიდან.

არსებული ღარი ვერ ასწრებს შემოდინებული წყლის მთლიან გადინებას. რაც იწვევს სარდაფის ნაწილის დატბორვას. რის გამოც დანესტიანებულია სარდაფის კედელი პირველ სართულზე და ეს დანესტიანება იმდენად ძლიერია, რომ სარდაფის დანიშნულებისამებრ გამოყენება გართულებულია. წყლის მუდმივი დინების გამო მოსალოდნელია მზიდ კედელში ბეტონის გამოტუტვა, კედელში ავარიული ბზარების განვითარება. 25.02.03წ ექსპერტის დასკვნაში მითითებულია სარდაფში წყლის შემოდინების დროული აღკვეთის საჭიროება, დასკვნაში აღინიშნა, რომ წყალი მიედინება სარდაფის განაპირა კედლიდან, რომელიც ემიჯნება „თბოელექტროცენტრალის" ტერიტორიას გარედან. ის გარემება, რომ არ არის გამორიცხული სარდაფში წყლის სხვა წყაროებიდან შეღწევის შესაძლებლობა არ ადასტურებს სს „თბოელექტროცენტრალისათვის" დაკისრებული ვალდებულების უსაფუძვლობას, ვინაიდან საექსპერტო დასკვნით კატეგორიულად დადგენილია, რომ წყალი მიედინება სარდაფის განაპირა კედლიდან, რომელიც ემიჯნება სს „თბოელექტროცენტრალს", სარდაფის სართულზე სს „თბოელექტროცენტრალის" მხრიდან მუდმივად მოედინება წყალი (ტ.3, ს.ფ. 141,142), ამის შესაბამისად გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით სს „თბოელექტროცენტრალს" დაეკისრა ვალდებულება ქ. თბილისში, დ. უზნაძის ქ. №4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სარდაფში, სახელდობრ სს „თბოელექტროცენტრალის" მხრიდან, მზიდ კედელში შემავალი წყლის დინების აღკვეთა და ამ მზიდი კედლის აღდგენა. სარდაფში წყლის შეღწევის სხვა წყაროების არსებობის შესაძლებლობა არ გამორიცხავს სს „თბოელექტროცენტრალის" ვალდებულებას აღკვეთოს სს „თბოელექტროცენტრალის" მხრიდან წყლის შემოდინება და მიიღოს ზომები მზიდი კედლის აღსადგენად.

საქმის მასალებით დადგენილად არის ცნობილი, რომ სს „თბოელექტროცენტრალის" ტერიტორიაზე განლაგებული და მის მფლობელობაში არსებული ძაბვის ტრანსფორმატორების მუშაობის შედეგია დასაშვებ დონეზე მაღალი ხმაური. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს საოლქო სასამართლოს კოლეგიის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოპასუხე სს „თბოელექტროცენტრალის" ყოველდღიური სამეწარმეო საქმიანობა არის იმ ზიანის უშუალო გამომწვევი მიზეზი, რომელსაც მოსარჩელეები თ. ქამუშაძე და ა. წულუკიანი განიცდიან. საქმის მასალების მიხედვით დასტურდება, რომ ხმაურის პარამეტრების გამოკვლევები შედარებული იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა

და სოციალური დაცვის მინისტრი 16.08.01წ №297/ნ ბრძანებით დამტკიცებულ სანიტარულ ნორმებთან (სნ 2.2.4/2.1.8.000-00). საფუძველსმოკლებულია სს „თბოელექტროცენტრალის" საკასაციო საჩივარში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხმაურის პარამეტრების გაზომვის შედეგები არ არის სრული. სსკ-ის 172-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებული უნდა იყოს. საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს საექსპერტო დასკვნის უარყოფის საფუძველი, ჩატარებულ გაზომვებში ფონური ხმაურის გაუთვალისწინებლობა არ ქმნის სს „თბოელექტროცენტრალის" საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს, ვინაიდან დასკვნის თანახმად გაზომვების ჩატარება განხორციელდა ღამის საათებში (2-დან 6 სთ-მდე პერიოდში), როდესაც გაზომვის ხელშემშლელი პირობები მინიმუმამდე არის დაყვანილი, დასკვნის მიხედვით გაზომვისას მოქმედებდნენ მხოლოდ ძაბვის ტრანსფორმატორები, სს „თბოელექტროცენტრალის" ტერიტორიაზე ტრანსფორმატორები მოქმედებენ სადღე-ღამისო რეჟიმში, ხმაურის ზღვრული დონეების გადაჭარბება დაფიქსირდა ღამის საათებისათვის დადგენილი ნორმატივების მიმართ, ამდენად, ფონური ხმაურის ფაქტორს არ შეეძლო რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოეხდინა გამოკვლევის შედეგებზე.

ჩატარებული გაზომვების შედეგების უარყოფის საფუძველს არ ქმნის აგრეთვე ის გარემოება, რომ გამოკვლევის ჩატარების შედეგად ა. წულუკიანის ბინაში ხმაურის ერთნაირი პარამეტრები დაფიქსირდა ბინის საცხოვრებელ ოთახში და ოთახის კედლის გარე ზედაპირთან. დასკვნაში აღინიშნა გარე და შიდა მაჩვენებლების გადაჭარბების შუალედური მაჩვენებელი, მოქმედი კანონმდებლობა (იხ. „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 16.08.01წ №297/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ხმაური სამუშაო ადგილზე, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების სათავსებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე", "სანიტარული ნორმები 2.2. 4/2. 1.8.000-00, თავი VIII) ითვალისწინებს გარე წყაროების მიერ წარმოქმნილი ხმაურის დასაშვები დონეების დადგენას სათავსოების ნორმატიული ვენტილაციის უზრუნველყოფის პირობით.

სსკ-ის 44-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები შეადგენს საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც სსკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის

თანახმად, სასამართლო ხარჯებს შეადგენენ. სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები ეკისრება მოპასუხეს. თბილისის საოლქო სასამართლოს კოლეგიის საკასაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით მოპასუხეებს - ქ. თბილისის მერიას, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, სს „თბოელექტროცენტრალს" თანაბარწილად დაეკისრათ სასამართლო ექსპერტიზის ხარჯები 1900 ლარის ოდენობით (თითოეულისათვის 633.3 ლარი), ამდენად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსტიტუტის მომართვა ინსტიტუტის სპეციალისტების მიერ ჩატარებული ხმაურის, ელექტრომაგნიტური ველების და ქიმიურ ნივთიერებათა გამოფრქვევის გამოკვლევების ანაზღაურების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს. თბილისის საოლქო სასამართლოს კოლეგიის 30.04.04წ. განჩინებით ექსპერტ კ. ნიკოლაიშვილს უარი ეთქვა შესრულებული სამუშაოს საფასურის ანაზღაურების თაობაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე, განჩინება კერძო საჩივრით არ გასაჩივრებულა. ამდენად, არ არსებობს ექსპერტ ა. ნიკოლაიშვილისათვის დამატებითი ტექნოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების საფასურის ანაზღაურების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო   ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I-ლი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ქ. თბილისის მერიის და სს „თბოელექტროცენტრალის" საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს. ა. წულუკიანის, თ. ქამუშაძის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. ი. ჯუღელის, ლ. ალავიძის. თ. გურეშიძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 12.03.04წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეებს სოლიდარულად

დაეკისრათ ა. წულუკიანის და თ. ქამუშაძის სასარგებლოდ ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული მორალური ზიანის საკომპენსაციოდ თითოეულისათვის 5000 ლარის გადახდა და ყოველთვიურ ანაზღაურებაზე უარი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ამ ნაწილში ა. წულუკიანის და თ. ქამუშაძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. ქ. თბილისის მერიას, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და სს „თბოელექტროცენტრალს" სოლიდარულად დაეკისროთ ა. წულუკიანის და თ. ქამუშაძის სასარგებლოდ , ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად თითოეულისათვის 7000 (შვიდი ათასი) ლარის გადახდა;

4. სს „თბოელექტროცენტრალს" ყოველთვიურად კომპენსაციის სახით დაეკისროს ა. წულუკიანის სასარგებლოდ 50 ლარის, ხოლო თ. ქამუშაძის სასარგებლოდ 100 ლარის გადახდა გადაწყვეტილების მიღებიდან;

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

6. ქ. თბილისის მერიას, საქართველოს გარემოს დაცვლისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, სს „თბოელექტროცენტრალს" დაეკისროთ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა თითოეულს 186,6 ლარის ოდენობით;

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე ნ. სხირტლაძე

მოსამართლეები: ...ლარჯეიშვილი

...ჯაია